



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი





კონკურსები

1. დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე კინოცენტრი დააფინანსებს შემდეგ შვიდ პროექტს:

- „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია კედარი“, დირექტორი – ირინე ჟორდანია, რეჟისორი – ირინე ჟორდანია) – 74 000 ლარი;
- „მცხუნვარე მზე“ – (პროდიუსერი შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, დირექტორი – გიორგი ქობალია, რეჟისორი – ნინო წიქარიძე) – 51 483 ლარი;
- „ნათლობა „იორდანეში“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია 99“, დირექტორი -კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი – მიხეილ კვირიკაძე) – 75 000 ლარი;
- „სამშობლოსთვის და სტალინისთვის“ – (პროდიუსერი ი/მ მარიამ ჭინჭარაძე, რეჟისორი – ნიკა გაბუნია) – 57 994 ლარი;
- „უხერხემლო“ (პროდიუსერი შპს „Film Asylum“, დირექტორი – ვალერიან კირკიტაძე, რეჟისორი – გრიგოლ აბაშიძე) – 70 000 ლარი;
- „ჩვენი სიყვარულის მერე“ (პროდიუსერი შპს „12“ დირექტორი – თედო დოლიძე, რეჟისორი – ამირან დოლიძე) 49 000 ლარი;
- „ტოტოს უკანასკნელი დღეები“ – (პროდიუსერი შპს „ბი-აი-თი“ სტუდიო“ დირექტორი – მარიამ ბიწაძე, ანა კვიჭიძე; რეჟისორი – თორნიკე ტიკარაძე) - 19 505 ლარი;

2. დასრულდა დოკუმენტური ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე კინოცენტრი დააფინანსებს შემდეგ ექვს პროექტს:

- „მაღლა თაზო“ – (პროდიუსერი – შპს „ს.ს.ს.“ ილია ფარსადანიშვილი, რეჟისორი – თორნიკე ბზიავა) – 44 760 ლარი;
- „ბოლო ბარი“ – (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“ ციალა აბესაძე, რეჟისორი – გივი (ბესო) ოდიშარია) – 65 679 ლარი;
- „რესპუბლიკა“ – (პროდიუსერი – ააიპ „კავშირი ოპიოდოკ“ მარიამ ქაჭია, რეჟისორი – ხვიჩა ემირიძე, თინათინ ემირიძე) – 103 000 ლარი;
- „ატონალური გაბრწყინება“ – (პროდიუსერი – ააიპ „სპარკ“ ალექსანდრე ქორიძე, რეჟისორი – ალექსანდრე ქორიძე) – 41 469 ლარი;
- „კავკასიონის ხუთი ხედი“ – (პროდიუსერი – შპს „Eco Films“ ნიკოლოზ წიკლაური, რეჟისორი – ნიკოლოზ წიკლაური) – 156 000 ლარი;
- „ოცნება კადილაკზე“ – (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე) – 63 000 ლარი;

3. დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის დაფინანსების კონკურსი. საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე კინოცენტრი დააფინანსებს შემდეგ სამ პროექტს:

- „ლევანი და გივი“ – (შპს „ჯემინი“ დირექტორი – თინათინ ყაჭრიშვილი, რეჟისორი – ბაკურ ბაკურაძე) – 500 000 ლარი;
- „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია-99“, დირექტორი – კარინე (ჟანა) სარდლიშვილი, რეჟისორი – ნანა (ნინო) ჭორჭაძე.) – 499 888 ლარი;
- „ბამთრისპირის სევდა“ – (პროდიუსერი შპს „Film Asylum“, დირექტორი – ვალერიან კირკიტაძე, რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი) – 500 000 ლარი;

4. მიმდინარეობს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის დაფინანსების კონკურსის საექსპერტო კომისიის სხდომები. გასაუბრება კონკურსანტებთან ჩანიშნულია 23 და 24 ივნისს და 1 და 2 ივლისს.

5. შეიქმნა 2020 წლის 10 იანვარს გამოცხადებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსის კომისია. კომისიის წევრებს განსახილველად გადაეცათ პროექტები. გასაუბრება კონკურსანტებთან ჩანიშნულია 6 და 7 ივლისს.



“ფრენცის სასადილო“



“წვიმა ორ ნაპირზე“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი ნიკოლოზ გუგუშვილი, რეჟისორი - აკაკი შანშიაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „რესპუბლიკა“ (პროდიუსერი - ააიპ „ოპიოდოკი“ მარიამ ქაქია, რეჟისორი - თინათინ ემირიძე);
- დოკუმენტური ფილმი „მაღლა თაზოა“ (პროდიუსერი - შპს. ს.ს.ს. დირექტორი - ელია ფარსადანიშვილი, რეჟისორი - თორნიკე ბზიავა);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, დირექტორი ნატო სიხარულიძე, რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი - დათო უკმაჭურიძე, რეჟისორი - დათა ფირცხალავა);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ქერი“ (პროდიუსერი - შპს „ნატურა ფილმი“ ციხლა აბესაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ღიზა“ (პროდიუსერი - შპს „N&N“, დირექტორი - ნანა ჯანელიძე, რეჟისორი - ნანა ჯანელიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ ლაშა ხალვაში, რეჟისორი - თინათინ ყაჭრიშვილი);
- ანიმაციური ფილმი „კატოს სიზმრები“ (პროდიუსერი - შპს „20 steps productions“ ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - ცოტნე რუსიშვილი);
- მოკლე მხატვრული ფილმი „#26“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი – დავით უკმაჭურიძე, რეჟისორი – გვანცა მეფარიშვილი);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიატი“ (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, დირექტორი - შოთა ბაშარული, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);

გადაღების პერიოდშია:

- ანიმაციური ფილმი „განდეგილი“ (პროდიუსერი - შსგ „ლირა ფროდაქშენი“ ლალი კიკნაველიძე, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე);
- ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“ (პროდიუსერი - შპს „ვოქსელ“ პაატა ჭიხვაშვილი, რეჟისორი - თეიმურაზ სიხარულიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „პაპანაქება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“, დირექტორი – თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი – თორნიკე გოგრიჭიანი);
- მოკლე მხატვრული ფილმი „გუშაგები“ (პროდიუსერი – შპს „ორნი“, დირექტორი – თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი – სანდრო სულაძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „მეზობელი“ (პროდიუსერი – შსგ „მეტრო ფილმ ფროდაქშენი“, დირექტორი – მაია გურაბანიძე, რეჟისორი – დათო ბორჩხიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“ დირექტორი – ნატო სიხარულიძე, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, დირექტორი – ლუკა ბერაძე, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ლანა, ანუკა და ფეხბურთის მთელი გუნდი“ (პროდიუსერი - ააიპ „მიკროკოსმოსი“ სალომე ჭაში, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ქეთევან კაპანაძე);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერი“ (პროდიუსერი - შპს „ორნი“ თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი და სცენარის ავტორი- სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი - შპს „1991 ფროდაქშენს“ ნინო ჩიჩუა, ანა ხაზარაძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ლუკა ბერაძე);
- დოკუმენტური ფილმი „მულამათი“ (პროდიუსერი - ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - თამთა გაბრიჩიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი - შპს „იბერიკა ფილმი“, დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);

მონტაჟდება:

- ანიმაციური ფილმი „მამა“ (პროდიუსერი - ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“ ზურაბ დიასამიძე, რეჟისორი - არჩილ კუხიანიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი - შპს „ვაგონეტი“ გიორგი ოვაშვილი, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „სამი ურო“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“ - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - თამარ ბართაია, გიორგი ბართაია, სცენარის ავტორი - თამარ ბართაია);
- დოკუმენტური ფილმი „აღდგომა“ (პროდიუსერი - ააიპ „ნიკადოკ ფილმი“ ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, რეჟისორი - და სცენარის ავტორი- ნიკოლოზ ბეჟანიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ჩემი მეზობელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ მარიამ ჭაჭია, რეჟისორი და სცენარის ავტორი- მარადია ცაავა);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხული“ (პროდიუსერი - შპს „შვიდკაცა“, რეჟისორი - გია ბარაბაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“ ანა ჩუბინიძე, რეჟისორ/ანიმატორი - ანა ჩუბინიძე);
- ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ქარმა დაუბერა, ქალმა თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიქრა“ (პროდიუსერი - ააიპ საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - ალექსანდრე კობერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სამურაი დასვენების უამს“ (პროდიუსერი - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი -ზაზა ხალვაში);



“დასაწყისი”



“დიდება დედოფალს”



“სამურაი დასვენების ჟამს”



“მშო - 15”

- მცირებუჩქეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალარ შემიძლია“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - ეკატერინე ჭელიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ცხვედიანი);
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კვალი XXI“ ცოტნე კალანდაძე, რეჟისორ/ანიმატორი - მარი კაპანაძე);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- მცირებუჩქეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიშკიანიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი - შპს „სოლოსოლო“ დირექტორი- ბესიკ სოლომანაშვილი, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრაფი“ პაატა გოძიაშვილი, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - კ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში);



“მშენიერი ელენე”



“ველი”

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“, დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“, დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე)

დასრულდა

- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შიშველი ცა“ (პროდიუსერი - შპს „კინო არქიტექტორის ოფისი“, რეჟისორი - დეა კულუმბეგაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „შეხვედრა“ (პროდიუსერი - შპს „1991 ფროდაქშენს“ ნინო ჩიჩუა, რეჟისორი - ანა ხაზარაძე, თამარ სხირტლაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სინემანია“ (პროდიუსერი - შპს „აკრობატი“ დირექტორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რეჟისორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი);
- მოკლე მხატვრული ფილმი „სასტუმრო მირაჟი“ (პროდიუსერი - შპს „პანიკა ფილმსი“ ანი კაშია, რეჟისორი - ანი კაშია);



დეა კულუმბეგაშვილის სრულმეტრაჟიანი ფილმი „დასაწყისი“ კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში

კანის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ სექციაში დასახელდა დეა კულუმბეგაშვილის სრულმეტრაჟიანი ფილმი „დასაწყისი“. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც დეა კულუმბეგაშვილის ფილმი კანის კინოფესტივალზე ხვდება. 2014 წელს რეჟისორის სადებიუტო ნამუშევარი „უხილავი სივრცეები“ წარმოდგენილი იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში, 2016 წელს კი დეა კულუმბეგაშვილის კიდევ ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ლეთა“ აჩვენეს სექციაში „რეჟისორთა ორკვირეული“.

კორონავირუსის პანდემიის გამო, წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალი არ ჩატარდება ტრადიციული ფორმით, არც ერთი სექცია იქნება საკონკურსო. ოფიციალურ სელექციაში მოხვედრილი ფილმები გადანაწილდებიან ტორონტოს, სან-სებასტიანის, ნიუ-იორკის, ვენეციის, ბუსანისა და ლუმიერის კინოფესტივალებზე. ჭერჭერობით უცნობია, თუ რომელი კინოფესტივალის ფარგლებში შედგება ფილმ „დასაწყისის“ მსოფლიო პრემიერა. მთელ ამ პროცესს კანის კინოფესტივალის დირექტორი ტიერი ფრემო ასე უწოდებს – „კანი კედლებს მიღმა“.

„დასაწყისი“ გადაღებულია ლაგოდების მუნიციპალიტეტში – ლაგოდებსა და გარშემო სოფლებში. ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.



საქართველო კანის ვირტუალურ კინობაზრობაზე


22 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით, ეროვნულმა კინოცენტრმა კანის კინობაზრობაზე (Marché du Film Online) მეცამეტედ წარადგინა საქართველოს პავილიონი. კორონავირუსის პანდემიის გამო, კინობაზრობა წელს ონლაინ ფორმატში ჩატარდა.

საქართველოს ვირტუალურ პავილიონში ინდუსტრიული კუთხით მუშაობდა ეროვნული კინოცენტრის გუნდი გაგა ჩხეიძის ხელმძღვანელობით. კინოცენტრი ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა სახის ღონისძიებას, როგორც არის კინოინდუსტრიის საერთაშორისო წარმომადგენლებთან შეხვედრა ან პროექტების პრეზენტაცია, რომელიც დაეხმარება ქართველ კინემატოგრაფისტებს ერთობლივი წარმოების ფილმების შექმნასა და დამატებითი ინვესტიციის მოპოვებაში.



აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიულ პროგრამაში Cannes Docs მონაწილეობდა შორენა თევზაძე დოკუმენტური ფილმის პროექტით “მცხუნვარე მზებზე”. 24 ივნისს პრეზენტაცია გაიმართა ონლაინ, პროექტ Circle Women-ის ფარგლებში და მას პროდიუსერები, დისტრიბუტორები, ფესტივალები, ფონდებისა და ტელევიზიების წარმომადგენლები დაესწრებიან.

საქართველოს ვირტუალური პავილიონის სტუმრები ასევე გაეცნენ ინფორმაციას თანამედროვე ქართული კინოინდუსტრიის, ქართული კინომემკვიდრეობისა და პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ შესახებ.




კანის ვირტუალური კინობაზრობის მსვლელობისას საქართველოს პავილიონში გაიმართა შეხვედრები შემდეგი საერთაშორისო კინოფესტივალებისა თუ კინოორგანიზაციების წარმომადგენლებთან:

- Paolo Bertolin - Venice Film Festival
- Víctor M. Muñoz - FestHome.com
- Satu Elo - EAVE
- Ana Souza - Sundance Film Festival
- Sasha Stanishikj / Cinesquare (VOD)
- Angeliki Vergou / AGORA (Thessaloniki IFF)
- EFM (European Film Market)
- Mercedes Fernandez & Olimpia Pont Cháfer / Torino Film Lab
- Nino Kirtadze / Georgian Representative in Eurimages
- Adriek van Nieuwenhuijzen / IDFA
- Marjorie Bendeck / Co- Co
- Olena Decock / Hot Docs (Industry)
- Patrizia Mancini / Sunny Side of the Doc
- Francesca Palleschi & Alexia De Vito / MIA (Co-Production Market)

ნინო ორტონიკიძისა და ვანო არსენიშვილის ფილმი “გვირაბი” მონტენეგროში დატილდოვდა

24 ივნისს ნინო ორტონიკიძისა და ვანო არსენიშვილის დოკუმენტური ფილმი “გვირაბი” გახდა საუკეთესო ფილმის ჯილდოს მფლობელი საერთაშორისო კინოფესტივალზე Underhill Fest. ფესტივალის ყოველწლიურად მონტენეგროში იმართება და ქვეყანაში ერთ-ერთ მთავარ კინომოვლენად ითვლება.

ფილმში მოქმედება ვითარდება ხარაგაულის რაიონში, „მოლითის“ სარკინიგზო სადგურის გარშემო. საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ჩქაროსნულმა მატარებელმა ჩინეთი საქართველოს გავლით ევროპასთან უნდა დააკავშიროს, რაც პატარა სოფლების ცხოვრებას თავდაყირა აყენებს.



ფილმ “მკვდარი სულების არდადეგები”-ს მსოფლიო პრემიერა საერთაშორისო კინოფესტივალზე Hot Docs

კეკო ქელიძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი “მკვდარი სულების არდადეგები” აჩვენეს საერთაშორისო კინოფესტივალზე Hot Docs (28 მაისი - 24 ივნისი). ფილმის მსოფლიო პრემიერა ონლაინ გაიმართა სპეციალურ სექციაში The Changing Face of Europe.

Hot Docs დოკუმენტური ფილმების ყველაზე დიდი ფესტივალია ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელიც ყოველწლიურად კანადაში იმართება და 200-მდე ფილმს სთავაზობს 200,000-ზე მეტ მაყურებელს მთელი მსოფლიოდან.

“მკვდარი სულების არდადეგები” 1 თვის მანძილზე ხელმისაწვდომი იყო ონლაინ ონტარიოს მაცხოვრებლებისთვის.

პარალელურად, “მკვდარი სულების არდადეგები” შეირჩა შვეიცარული დოკუმენტური ფილმების ფესტივალ Visions du Réel-ის ონლაინ ბიბლიოთეკისთვის. ფილმზე წვდომა ექნებათ ფესტივალის აკრედიტებულ სტუმრებს 2020 წლის 1 აგვისტომდე.

ფილმ “გვირაბი”-ს ბერძნული პრემიერა სალონიკის დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე

ვანო არსენიშვილისა და ნინო ორჭონიკიძის დოკუმენტური ფილმ “გვირაბი”-ს ბერძნული პრემიერა ონლაინ შედგა. სალონიკის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წელს ღონისძიება განსხვავებული ფორმატით გაიმართა. ჟიურის წევრებმა და მაცურებელმა ფილმები 19 – 28 მაისს დისტანციურად იხილეს.

“გვირაბის” მსოფლიო პრემიერა 2019 წელს შედგა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე (IDFA). ფილმი საქართველო-გერმანიის კოპროდუქციაა. იგი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა და ამსტერდამში პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.



“უარყოფითი რიცხვები” გერმანიასა და სამხრეთ კორეაში

უტა ბერიას სადებიუტო ნამუშევარი “უარყოფითი რიცხვები” განაგრძობს მოგზაურობას საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

“უარყოფითი რიცხვები” წარმოდგენილი იყო მშვიდობის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში. ფესტივალის სამხრეთ კორეაში დისტანციურად 18-23 ივნისს ჩატარდა.

“უარყოფითი რიცხვების” გერმანული პრემიერა შედგება ვისბადენში, საერთაშორისო კინოფესტივალზე goEast. ფილმის ჩვენება ფესტივალის მთავარ კონკურსში 14 ნოემბერს გაიმართება. აღსანიშნავია, რომ წელს ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრია ნინო კირთაძე.



“ცხოველი” მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე Go Short

ამირან დოლიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი “ცხოველი” წარმოდგენილი იყო საერთაშორისო კინოფესტივალზე Go Short. “ცხოველი” მონაწილეობდა ფესტივალის ევროპულ საკონკურსო პროგრამაში.

წელს Go Short განსხვავებული ფორმატით, დისტანციურად ჩატარდა. პროგრამის ნახვა მაყურებელს შეეძლო 15 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით ფესტივალის ვებ გვერდზე მითითებული ბმულის მეშვეობით.



Presidency of Georgia
Council of Europe
November 2019 – May 2020
Présidence de la Géorgie
Conseil de l'Europe
Novembre 2019 – Mai 2020



ევროპის საბჭომ მაყურებელს ქართული ფილმების კვირეული შესთავაზა

2019 წლის 27 ნოემბერს საქართველო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგმა არაერთ კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა. მათ შორის იყო ქართული ფილმების რეტროსპექტივა, რომელიც მარტის თვეში კინოთეატრ „ოდისე“-ში გაიმართა.

11-15 მაისს, კორონავირუსის პანდემიის გამო, ევროპის საბჭომ მაყურებელს ქართული ფილმების კვირეული ონლაინ შესთავაზა. სპეციალურ ვებ გვერდზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი ქართული ფილმები:

- ლანა ლოლობერიძის „ოქროს ძაფი“
- ზაზა ხალვაშის „ნამე“
- ნუცა ალექსი-მესხიშვილის „კრედიტის ლიმიტი“
- ნინო ჟვანიას „აღლუმი“
- ლევან თუთბერიძის „მოირა“
- ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“
- დიმიტრი ცინცაძის „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“
- სალომე ჯაშის „დაისის მიზიდულობა“
- რატი ონელის „მზის ქალაქი“

საქართველო ტრენტოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფოკუსში

19 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა ტრენტოს საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამა.

ფესტივალის საკონკურსო სექციაშია ვანო არსენიშვილისა და ნინო ორჭონიკიძის ფილმი „გვირაბი“.

წელს ტრენტოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფოკუს ქვეყანა საქართველოა. ამასთან დაკავშირებით, ფესტივალის ორგანიზატორები მაყურებელს შესთავაზებენ ქართული ფილმების რეტროსპექტივას სახელწოდებით DESTINATION... GEORGIA.



ტრენტოში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ქართული ფილმები:

- “სანამ მამა დაბრუნდება” – რეჟისორი მარი გულბიანი;
- “მზის ქალაქი” – რეჟისორი რატი ონელი;
- “დედე” – რეჟისორი მარიამ ხაჭვანი;
- „მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე“ – რეჟისორი თომა ჩაგელიშვილი;
- “მგლების ქვეყანაში” – რეჟისორი გრეის მაკენზი;
- “ლეთა” – რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი;
- “დაკარგული სოფელი” – რეჟისორი გიორგი თოდრია;
- “მეკვლე” – რეჟისორი გოდერძი ჩოხელი;
- “ოგასავარა” – რეჟისორი ტატო კოტეტიშვილი;
- “ჩვენი სისხლი ღვინოა” – რეჟისორი ემილი რეილსბეჯი;
- “მოსავალი” – რეჟისორი მიშო ანთაძე;
- “კოშკი” – რეჟისორი სალომე ჯაში;
- “თეთრი ქარავანი” – რეჟისორები ელდარ შენგელაია და თამაზ მელიავა;

კორონავირუსის პანდემიის გამო, ტრენტოს 68-ე საერთაშორისო კინოფესტივალი აპრილის ნაცვლად 27 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება.


დარჩი სახლში, უყურე ქართულ კინოს!

კორონავირუსის პანდემიის დროს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით ონლაინ კინოჩვენებები დაიწყო. პროგრამაში იყო როგორც სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ნამუშევრები, ასევე მოკლემეტრაჟიანი ფილმები და ანიმაცია. აპრილის თვეში კინოცენტრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე მაყურებელმა იხილა შემდეგი ქართული ფილმები:

- “გოგიტას ახალი ცხოვრება” – რეჟისორი ლევან კოლუაშვილი;
- “დაკარგული რვანახევარი” – რეჟისორები ლაშა ოთხმეზური და ვახო ვარაზი;
- “უშენოდ მგონი მოკვდები” – რეჟისორი ლევან თუთბერიძე;
- “გრძელი ნათელი დღეები” – რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი;
- “კრედიტის ლიმიტი” – რეჟისორი ნუცა ალექსი-მესხიშვილი;
- “ლექსი ვეფხვისა და მოყმისა” – რეჟისორი მარიამ კანდელაკი;
- “ცხრა მთას იქით” – რეჟისორი ლევან თუთბერიძე;
- “ოქროს ძაფი” – რეჟისორი ლანა ლოღობერიძე;
- “ნეტავ იქ თეატრი არის?!” – რეჟისორი ნანა ჯანელიძე;
- “მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს” – რეჟისორი თინათინ გურჩიანი;
- “მზის ქალაქი” – რეჟისორი რატი ონელი;

26 მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმის ჩვენება 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს

ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიმართა 26 მოკლემეტრაჟიანი ფილმის ონლაინ ჩვენება.



“8 წუთი”
“ანა”
“ანდრო”
“გაბანა”
“გამოსვლა”
“დაკარგული სოფელი”
“დაცვის პოლიციელი”
“თეძო”
“დედა”
“ლილე”
“შაშა”
“შამული”
“მარქის ქუჩა 12”
“შეოკვლე და გოგონა”
“შექელენე”
“ეზადება”
“ოვასაფარა”
“პირველი დღე”
“ზამი საფეხური”
“სრულყოფილი შეკვეთა”
“ფრანი”
“ქარის დევნა”
“ღამის გუშაგები”
“ცუდი ხალხი”
“ცხოველი”
“ქა”

26 მაისი

26 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი

26 მაისის დადგომისთანავე, 24 საათის მანძილზე ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გასაჯაროვდა შემდეგი ფილმები:

- “8 წუთი”
- “ანა”
- “ანდრო”
- “გაბანა”
- “გამოსვლა”
- “დაკარგული სოფელი”
- “დაცვის პოლიციელი”
- “თემო”
- “ლეთა”
- “ლილე”
- “მამა”
- “მამული”
- “მარქსის ქუჩა 12”
- “მეთევზე და გოგონა”
- “მეძებლები”
- “მზადება”
- “ოგასავარა”
- “პირველი დღე”
- “სამი საფეხური”
- “სრულყოფილი შეკვეთა”
- “ფრანი”
- “ქარის დევნა”
- “ლამის გუშაგები”
- “ცუდი ხალხი”
- “ცხოველი”
- “ჭა”



5 ქართული ანიმაციური ფილმის ონლაინ ჩვენება

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე შედგა 5 ქართული ანიმაციური მოკლემეტრაჟიანი ფილმის ონლაინ ჩვენება.

პროგრამა:

- ჯინო – რეჟისორი დათო კიკნაველიძე
- “ფრანი” – რეჟისორი ლადო სულაქველიძე
- “ლილე” – რეჟისორი ნათია ნიკოლაშვილი
- “მეთევზე და გოგონა” – რეჟისორი მამუკა ტყეშელაშვილი
- “ბებო” – რეჟისორი სანდრო ქათამაშვილი



“მოუსმინე სიჩუმეს” - მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმის ონლაინ ჩვენება

14 ივნისს, შშმ პირთა დაცვის დღეს, ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით გაიმართა მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმის ჩვენება სახელწოდებით “მოუსმინე სიჩუმეს”.

ფილმი გვიამბობს სმენადაქვეითებული ბიჭის შესახებ, რომელიც ოცნებობს იცეკვოს სცენაზე და შეაბიჯოს ახალ სამყაროში.

ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა 2016 წელს ლაიფციგის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც იგი სექცია „მომავლის ოსტატები“-ს გამარჯვებული გახდა და „ოქროს მტრედით“ დაჯილდოვდა.



პროექტი „კინო სკოლაში“ - გაზაფხულის სეზონი

კორონავირუსის პანდემიის გამო, პროექტმა „კინო სკოლაში“ 2020 წლის გაზაფხულის სეზონი განსხვავებული ფორმატით ჩაატარა. დაიწყო ახალი კინოსაგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმის გამოყენება, რომელიც ევროკავშირის პროგრამის – „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით შეიქმნა. საქართველოს გარდა პროექტში „კინოს კუთხე“ (THE FILM CORNER) ჩართულნი არიან იტალია, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, სერბეთი და სლოვენია. ეს არის საერთაშორისო კინოსაგანმანათლებლო რესურსი, რომლის მიზანია კინოსპეციფიკის სწავლება ონლაინ ფორმატში.

გაზაფხულის სეზონზე პროექტში ჩართული იყო 17 კინომისიონერი, 40 სკოლა მთელი საქართველოს მასშტაბით და 285 კინოსკოლელი. სასწავლო რესურსი განკუთვნილია 13-19 წლის მოზარდებისთვის და აერთიანებს შემდეგ თემებს: კადრის შექმნა, გამოსახულების გაჭრა, კადრს მიღმა მოქმედება, მონტაჟი, პარალელური მოქმედება, ხმა, პერსონაჟის შექმნა და ა.შ.

ონლაინ პლატფორმის გამოყენებამდე მოხდა კინომისიონერების გადამზადება. სასწავლო მასალის ახსნის შემდეგ, სწორედ კინომისიონერების დახმარებით ეძლევათ შესაძლებლობა კინოსკოლელებს გადავიდნენ პრაქტიკულ სამუშაოებზე და ონლაინ შეასრულონ კონკრეტული დავალებები, რაც სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურს ხდის.

ამჟამად, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით მიმდინარეობს მუშაობა კიდევ ორ აპლიკაციაზე – პროპაგანდა კინოში და კინოს საშუალებით ხელოვნების სწავლება. აპლიკაციები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი იქნება მომავალი წლიდან.

ეროვნული კინოცენტრის პროექტი „კინო სკოლაში“ 2014 წლიდან წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

- სანდრო სულაძე მონაწილეობს ტურინის ფილმ ლაბში. ფილმის განვითარების ვორქშოპში ჩართულია 25 მონაწილე 16 ფილმის პროექტით. ვორქშოპის მონაწილეები ჯგუფებად მუშაობენ სცენარის შექმნაზე შვედ, იტალიელ და პოლონელ კონსულტანტებთან ერთად. ვორქშოპის მეორე სესია 29-30 ივნისს გაიმართება.
- Ex Oriente Film-მა გამოაქვეყნა იმ დოკუმენტური ფილმების პროექტების სია, რომლებიც ტრენინგ პროგრამის 2020 წლის გამოშვებაში მიიღებენ მონაწილეობას. 12 რჩეულ პროექტს შორის მოხვდა “ღიმილიანი საქართველო” (რეჟისორი - ლუკა ბერაძე, პროდიუსერები - ნინო ჩიჩუა და ანა ხაზარაძე). აღსანიშნავია, რომ გამოცდილ უცხოელ ტუტორებს შორის არის ქართველი რეჟისორი - სალომე ჯაში.
- კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიულ პროგრამაში Works In Progress წარმოდგენილი იქნება ლაშა ცქვიტინიძის ფილმის პროექტი „ველი“ (პროდიუსერები: ნოდარ ნოზაძე და გიორგი ქობალია). ხოლო, პროგრამაში Docs in Progress მონაწილეობს ირაკლი მეტრეველისა და ნოდარ ნოზაძის ფილმის პროექტი „მომთაბარე“.
- გიორგი ვარსიმაშვილის პროექტი “ჩაკეტილი სახლი” საფრანგეთის სცენარისტთა ასოციაციამ La Maison du Scénariste შეარჩია იმ 16 პროექტს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ კანის კოპროდუქციის ბაზრობაზე.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge